სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის
2025 წლის I და II კვარტლის ანგარიში

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №30 დადგენილების ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ"- საფუძველზე წარმოგიდგენთ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წლის I და II კვარტლის საქმიანობის ანგარიშს.

ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს:

- არქიტექტურულ- სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის გამოვლენას და შესაბამის ღონისძიებებს.
- მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს (ინსპექტირების ჯგუფი).

კორესპონდენცია

2025 წელს ზედამხედველობის სამსახურში შემოსული იყო **767 ერთეული** კორესპონდენცია (განცხადებები, წერილები, მომართვები, ბრძანებები და სხვა.)

სამშენებლო ზედამხედველობა

,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს მიხედვით, სამსახურის მიერ შედგენილია:

შემოწმების აქტი და მ ი თითება, რის საფუძველზეც ჯამში, სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შევიდა **2 494,12ლარი**.

ექსპლუატაციაში ობიექტების დაჩქარებული წესით მიღებისათვის ბიუჯეტში შემოსულია 400 ლარი. სულ ჯამში 2894,12 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვის კონტროლი

ზედამხედველობის სამსახურმა განახორციელა კონტროლი სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე რამდენიმე ობიექტზე გამოვლინდა დარღვევები.

შედეგად, კონტრაქტორ კომპანიებს დაეკისრათ საჯარიმო სანქციები., სულ ჯამში 65 007,75 ლარი.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტები

2025 წლის პირველი და მეორე კვარტალის განმავლობაში ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 18 დასრულებული ობიექტი (საცხოვრებელი სახლები და სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები).